N 341 09/09/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ ჩხაიძის მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 06.09.2019 წელი 13:00 საათი.

სოფელი, თემი, დაბა: ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია"-ს თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, ფრაქციის მდივანი ლელა ჩახვაძე.

საკრებულოს წევრი იოსებ ჩხაიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისა და აქტიურად ჩართულობისათვის.

საკრებულოს წევრმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ანხორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში. კერძოდ: 1.სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია. 2). საფინანსო-საბიუჯეტო კომისია. ასევე იყო ფრაქცია ,,ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის" თავმჯდომარის მოადგილე. სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს სხდომებში 21-ჯერ, ესწრებოდა კომისიებისა და ფრაქციების სხდომებს, ასევე საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თათბირებს.

საკრებულოს სხდომებზე მის მიერ დაყენებული იქნა პრობლემატური საკითხები. კერძოდ:

- ქალაქის ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.
- საჯარო ინფორმაციის მიწოდების (წერილებზე პასუხების) ხარვეზებთან დაკავშირებით.
- ,,რეალექსპერტთან" გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.
- მგფ-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.
- საფეხბურთო კლუბ ,,გურია"-სთვის გამოყოფილი 8 მილიონამდე თანხის ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით.
- ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ,,გურიას" დაჯარიმებასთან დაკავშირებით.
- სახელმწიფო აუდიტის მიერ გაკეთებულ საგანგაშო დასკვნასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მოიპოვა ,,გურიის" სტადიონის პროექტი და მოახდინა მისი პრეზენტაცია პრესის თანდასწრებით, რათა პროექტი გასაჯაროებული ყოფილიყო და წერტილი დასმოდა გავრცელებულ ჭორებს, თითქოს

წინა ხელისუფლების მიერ მოხდა სტადიონის დაშლა ჯართის გამო, რომ პროექტის მიხედვით ლანჩხუთში შენდებოდა ევროპული სტანდარტის სტადიონი, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შეჩერებული იქნა. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში საგანგაშო მდგომარეობაა საკანალიზაციო ქსელთან დაკავშირებით, ფეკალური მასები მშენებარე ავტობანის მიმდებარე ტერიტორიაზე ღიად ჩაედინება სანიაღვრე არხში და აზიანებს გარემოს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად წინა ხელისუფლების დროს მიმდინარეობდა საპროექტო წინადადებების მომზადება, რათა ეს პრობლემები დეტალურად დაესვათ შესაბამის სამინისტროებთან და დონორ ორგანიზაციებთან, რომლის გადაწყვეტის დიდ ალბათობას ხელს შეუწყობდა ის ფაქტორი, რომ მიმდებარედ უნდა აშენებულიყო ავტობანი და ლანჩხუთის მთავარი შემოსასვლელი იქნებოდა ავტობანის მხრიდან, რის გამოც პრობლემები აღემატებოდა ადგილობრივ მნიშვნელობას და წარმოადგენდა სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემას, სამწუხაროდ დღემდე მოუწესრიგებელია აღნიშნული პრობლემა.

საკრებულოს წევრმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მერიაში იგზავნებოდა წერილები სხვადასხვა დოკუმენტაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობაზე პასუხი ჯერ კიდევ არ არის გაცემული.

საკრებულოს წევრმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ ,,რეალექსპერტთან“ და ,,მგფ“-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ხარვეზებია, ,,მგფ“-ის მიერ გამოყოფილი თანხა უკან უნდა დაუბრუნოს მუნიციპალიტეტმა სამმაგი ოდენობით, ვინაიდან ,,რეალექსპერტი“ ახორციელებს ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს ყველა იმ პროექტებზე, რომლის ღირებულება აღემატება 50 ათას ლარს, მიუხედავად იმისა რთულია თუ მარტივი, რაშიც მუნიციპალიტეტი უხდის სოლიდურ გადასახადს.

საკრებულოს წევრმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურია“- ს რამდენიმე წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან გამოეყო 8 მილიონამდე ლარი, რათა მიეღწია მაღალი შედეგებისთვის უმაღლეს ლიგაში და მოხდა პირიქით, ორი საფეხურით დაქვეითდა გუნდი და თანხის ხარჯვის მიზნობრიობა გაურკვეველია, ასევე გაურკვეველია ფეხბურთელის ჩამოყვანის მიზნობრიობა, რისთვისაც გურია დააჯარიმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სოლიდური თანხით, აღნიშნულმა ფეხბურთლემა მხოლოდ ნახევარი საათი ითამაშა ,,ლანჩხუთი გურიას” შემადგენლობაში.

საკრებულოს წევრმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის მიერ უარყოფითი დასკვნა დაიდო წინა წლებში მერიის შესყიდვების, სივრცით-მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია.

საკრებულოს წევრმა შეხვედრის ბოლოს მოისმინა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემატური საკითხები და დაპირდა, რომ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან და შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტს ყველა იმ პრობლემას, რომელიც აწუხებს ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

იოსებ ჩხაიძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები